

N	კითხვა	პასუხი
1.	<p>გზმ დოკუმენტში წარმოდგენილი საჭიროების დასაბუთება რეალურად არ წარმოადგენს საჭიროების დასაბუთებას. შემოთავაზებული ქვეთავი არ იმდევ ნათელ სურათს, რადგან შემოიფარგლება მხოლოდ ზედაპირული შეფასებებით, მეტიც, თამამად შეიძლება ითქვას რომ საჭიროების დასაბუთება წარმოადგენს მხატვრულად შესრულებულ თავს და არაფერი აქვს საერთო მონაცემებზე დაფუძნებული გადაწყვეტილების ხელშეწყობასთან.</p> <p>საჭიროების დასაბუთებითი წარმოდგენილი ინფორმაცია ზედაპირული და სუბიექტურია, არ ეყრდნობა მონაცემებსა და მიკვლევად კვლევებს. ნახსენებია ბაზრის კვლევა, თუმცა არ გვხვდება ისეთი დამატებითი დეტალებიც კი როგორიცაა თუნდაც კვლევის განხორციელების პერიოდი ან კვლევისას გამოვლენილი შედეგები. შესაბამისად, გზმ-ში წარმოდგენილ ინფორმაციაზე დაყრდნობით საწარმოს საქმიანობის დასაბუთება შეუძლებელია.</p>	<p>გზმ-ს ანგარიშში მოცემულია რეალური მსჯელობა პროექტის საჭიროებაზე, მათ შორის: 1. წარმოების განვითარების აუცილებლობაზე, რომელიც განსაზღვრავს ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებას; 2. ცირკულარული ეკონომიკის განვითარებაზე, რომელიც პრიორიტეტულია მსოფლიოში; 3. ბაზრის სტაბილურობისა და მომხმარებელთა ინტერესებისათვის ადგილობრივი წარმოების პროდუქტით იმპორტის ჩანაცვლებაზე; 4. კომპანიის მიერ ბაზრის კვლევის საფუძველზე დაგეგმილი საქმიანობით მიღებული სარგებელი, რომელიც არ შემოსაზღვრება მხოლოდ საქმიანობის განმახორციელებელის ეკონომიკური სარგებლის მიღებით. შეგახსენებთ, რომ ქვეყანაში არ არსებობს დამტკიცებული სახელმძღვანელო, ტექნიკური რეგლამენტი ან ინსტრუქცია, რომლის შესაბამისადაც უნდა მომზადდეს აღნიშნული თავი. ასევე შეზღუდვები არ არის წერის სტილზე.</p> <p>რაც შეეხება მიკვლევად კვლევებს, საქმიანობის სუბიექტს არ აქვს ვალდებულება დაეყრდნოს „მონაცემებსა და მიკვლევად კვლევებს“. როგორც წესი, ბაზრის კვლევა ტარდება ბიზნესის ხელშეწყობისათვის. მას შეუძლია დაეყრდნოს არსებულ ხელმისაწვდომ ინფორმაციას ან/და თვითონ</p>

		შეაგროვოს საჭირო მონაცემები, რომლის ანალიზს და შეფასებას გაითვალისწინებს საქმიანობის დაგეგმვის პროცესში. ასევე მნიშვნელოვანია ინვესტიორის გამოცდილება და კონტაქტები, რომელიც იძლევა წარმოების ხანგრძლივი მუშაობის პერსპექტივას.
2.	გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის ხედვით, გარემოზე ზემოქმედების ანგარიში (გზმ) უნდა მოიცავდეს პროექტის ხარჯ-სარგებლიანობის ანალიზს და შესაბამისად, საწარმოს ფუნქციონირებისგან მიღებული სარგებლის დასაბუთებას. წარმოდგენილი გზმ ანგარიში კი მსგავს ჩანაწერს არ მოიცავს და საწარმოს აუცილებლობა მხოლოდ სუბიექტური შეფასებებითაა დასაბუთებული, რაც არ იმდევს სწორი გადაწყვეტილების მიღების შესაძლებლობას.	გზმ-ს ანგარიშში მოცემულია 10.2.14. ქვეთავი - „სოციალურ-ეკონომიკური სარგებლისა და გარემოზე ზემოქმედების შედარებითი ანალიზი“. აღნიშნულ თავში მოცემულია ხარჯ-სარგებლიანობის ანალიზი. როგორც თავნთავის ცნობილია საქართველოში არ არის მოქმედი ნორმატიული აქტი ან დამტკიცებული ინსტრუქცია რომელიც საშუალებას მოგვცემს ხარჯ-სარგებლიანობის მათემატიკურ გაანგარიშებას და რიცხვების შედარებას. შესაბამისად ანალიზი შედგება დასაბუთებული თეორიული მსჯელობისაგან, რომელიც დაფუძნებულია გზმ-ს ანგარიშის მომხადებაში მონაწილე დარგის სპეციალისტებისა და ესპერტების შეფასებაზე.
3.	დოკუმენტში ასევე არ არის წარმოდგენილი ინფორმაცია იმის შესახებ თუ საიდან მოხდება საწარმოს მომარაგება ჯართით და რა წილი იქნება მასში იმპორტირებული, რადგან ერთ-ერთ მონაკვეთში ნახსენებია, რომ საწარმო იმუშავებს იმპორტირებულ ნედლეულზეც. ასევე, არ არის წარმოდგენილი ინფორმაცია თუ ვინ მოამარაგებს საწარმოს წარმოებისათვის საჭირო ნედლეულთა იქნება ეს ჯართი, ბენტონიტი თუ კვარცის ქვიშა.	გზმ-ს ანგარიშში ქვეთავი 5.2. „გამოყენებული ნედლეული და მასალები“- განხილულია, რომ ძირითადი ნედლეულის ჯართის შესყიდვა მოხდება არსებული ჯართის შემგროვებელი პუნქტებიდან. რაც შეეხება იმპორტით შემოტანილ ნედლეულს აღნიშნული მითითებულია „სხმულზე ანუ ნაშადაზე“, რომელიც



		<p>წარმოადგენს მეთალურგეული საწარმოს ნახევარფაბრიკატს და წარმოადგენს ნედლეულს სხვადასხვა დეტალების დასამზადებლად. გზმ-ს ანგარიშში მითითებულია, რომ ნამზადი შესაძლებელია შესყიდული იქნას როგორც ადგილობრივი მწარმოებლებისაგან, ისე იმპორტიორებისაგან.</p> <p>რაც შეეხება საჭირო ნედლეულის (ჯართი, ბენტონიტი, კვარცის ქვიშა) მოძიებულებს მათ შეყიდვაზე ერთი რომელიმე მოძიებელი არ არის გათვალისწინებული, რადგან ცალკეული შეყიდვა განხორციელება ნედლეულის ხარისხის, ფასისა და სხვა პირობების მიხედვით (როგორც ცნობილია საქართველოში ჯართის შემგროვებელი არაერთი პუნქტია, ასევე კვარცის ქვიშისა და ბენტონიტიური თიხების მოპოვებაზე გაცემული ლიცენზიები, თუმცა მათ გადამუშავებას ან/და რეალიზაციას შესაძლებელია ახდენდნენ სხვა კომპანიები, რომლებისგანაც მოხდება ნედლეულის შეძენა).</p>
4.	<p>2021 წლის 1 ივნისიდან სავალდებულოა უწყვეტი ინსტრუმენტული თვითმონიტორინგის წარმოება, გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებისადმი დაქვემდებარებული საქმიანობის სუბიექტისთვის, რომელიც ახორციელებს „ატმოსფერული ჰაერის დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის დანართით განსაზღვრულ საქმიანობას. დანართით განსაზღვრულ საქმიანობათა ჩამონათვალში შესულია თუჯის, ფოლადის ან/და ფეროშენადნობების წარმოება, პირველადი ან/და</p>	<p>გზმ-ს ანგარიშის ქვეთავი 11.1.-ში ატმოსფერული ჰაერის მონიტორინგი - მოცემულია რა საკანონმდებლო აქტის საფუძველზე ხორციელდება ატმოსფერული ჰაერის თვითმონიტორინგი. კერძოდ: „ატმოსფერული ჰაერის მონიტორინგი განხორციელდება საქართველოს მთავრობის 2013 წლის 31 დეკემბერის №413 დადგენილებით დამტკიცებული</p>

	<p>მეორეული დნობის ჩათვლით, რაც მოიცავს შპს“          ჯეოენტრპრაიზ“-ის მიერ რუსთავეში დაგეგმილ საქმიანობას -          ფოლადისა და თუჩის სხმულების დამზადებას, ამგვარად,          საწარმო ვალდებულია ოპერირებისას დამბნძურების          სტაციონარული წყაროებიდან მაგნე ნივთიერებათა          გაფრქვევების თვითმონიტორინგის წარმოების მიზნით          ინსტრუმენტული მეთოდით უწყვეტად განსაზღვროს          დამბნძურების სტაციონარული წყაროებიდან ატმოსფერულ          ჰაერში მაგნე ნივთიერებების ორგანიზებული გაფრქვევების          ფაქტობრივი რაოდენობა. თუმცა, დაგეგმილი საქმიანობის          გზშ-ის ანგარიშის ატმოსფერული ჰაერის მონიტორინგის          ქვეთავში (11.1) ვხვდებით შემდეგ ჩანაწერს - „როგორც          ცხრილი 11.2-ში ჩანს, მოქმედი ნორმატიული აქტებითა და          საპროექტო პარამეტრების შესაბამისად, ინდუქციური          დუმილების ექსპლუატაციის პირობებში საწარმოდან          გაფრქვეულ აირნარევში დამბინძურებელ ნივთიერებათა          კონცენტრაცია მცირეა და არ ექვემდებარება უწყვეტ          ინსტრუმენტალურ კონტროლს“. თუმცა, აღნიშნული          მტკიცებისას არ აქვს მოყვანილი ის კონკრეტული          ნორმატიული აქტი ან აქტები, რომლებიც საქმიანობას          უწყვეტი თვითმონიტორინგისგან ვალდებულიყენებს          ათავისუფლებს.</p>	
5.	<p>გზშ დოკუმენტი მოიცავს ალტერნატივების ანალიზს, მათ          შორის არაქმედების ალტერნატივასაც. არაქმედების          ალტერნატივის ნაწილში ვხვდებით შემდეგი სახის          არგუმენტაციას: საქმიანობის განმახორციელებელი          საუბრობს შენობის გარდაუვალ წგრევაზე და მანიაუირებს</p>	<p>„დამბნძურების სტაციონარული          წყაროებიდან მაგნე ნივთიერებათა          გაფრქვევების თვითმონიტორინგისა და          ანგარიშგების წარმოების ტექნოლოგიური          რეგლამენტისა“ და საქართველოს მთავრობის          2021 წლის 27 აპრილის N192 დადგენილებით          დამტკიცებული „დამბნძურების          სტაციონარული წყაროებიდან მაგნე          ნივთიერებათა გაფრქვევების თვით          მონიტორინგისა და ანგარიშგების წარმოების          ტექნოლოგიური რეგლამენტის დამტკიცების          თაობაზე“ საქართველოს მთავრობის          31.12.2013წ. N413 დადგენილებაში          ცვლილებების შეტანის შესაბამისად.          ამ უკანასკნელით დადგენილია, რა          დამბინძურებელ ნივთიერებებზე ხდება          უწყვეტი მონიტორინგი (მუხლი 4. პუნქტი 5<sup>ა</sup>)          და გაზომვების დიაპაზონი (დანართი 6).          გზშ-ში მოცემულია (ცხრილი 11.1. და 11.2.)          თითოეული ნივთიერების გაფრქვეული მაგნე          ნივთიერებების რაოდენობა და          კონცენტრაცია ზდგ-ს ნორმების პროექტის          შესაბამისად. ასევე ცხრილში (11.2.)          შეტანილია ინფორმაცია გაზომვის          დიაპაზონის შესახებ დანართი 6-ის          შესაბამისად.</p>



	<p>ამ ფაქტით, მაშინ, როდესაც სრულიად შესაძლებელია შენობაში სამომავლოდ ისეთი ტიპის საწარმოს განთავსება, რომელიც ექსპლუატაციის ფაზაზე არ შეიტანს წვლილს ჰაერის დაბინძურებაში. გარდა ამისა, დასკვნის სახით წარმოდგენილი ჩანაწერიც ბუნდოვანია და სუბიექტურია და არ ასაბუთების საწარმოს მოწყობის გარდაუვალ საჭიროებას - “ოზიექტის ექსპლუატაციის დროს დაცული იქნება გარემოსდაცვითი კანონმდებლობის მთხოვნები, ამ პირობებში გარემოზე უარყოფითი ზემოქმედება იქნება დაბალი, სოციალური და ეკონომიკური სარგებელი კი მნიშვნელოვანი.”</p>	<p>უარყოფითად აისახება ქვეყნის სოციალურ ეკონომიკურ განვითარებაზე”. ამასთან საწარმოს ტერიტორია ინდუსტრიულ ზონაშია, სადაც მხოლოდ სამეწარმეო ობიექტი შეიძლება მოეწყოს. ნებისმიერი სამეწარმეო ობიექტის მოწყობა-ექსპლუატაცია იწვევს გარემოზე ზემოქმედებას, მასშტაბი დამოკიდებულია წარმოების ტიპზე და შემარბილებელ ღონისძიებებზე. როგორც გზმ-ს ანგარიშის მე-10 თავშია აღწერილი, საწარმოს ექსპლუატაციის ეტაპზე, დაგეგმილი შემარბილებელი ღონისძიებების გათვალისწინებით, ზემოქმედება გარემოს არცერთ კომპონენტზე არ არის მნიშვნელოვანი, რაც ცხადყოფს დასკვნის ობიექტურობას.</p> <p>რაც შეეხება საქმიანობის არ განხორციელების შემთხვევაში ირგვლივც არსებული სურათის მიღებით „აპელირებას“ - აღნიშნული მსჯელობა დასაბუთებულია საქმიანობის დაწყებამდე და ამჟამად არსებული შენობის ფოტომასალით (სურათი 9.3. და სურათი 7.17.).</p>
6.	<p>გზმ დოკუმენტში წარმოდგენილი ალტერნატივების განხილვა, რეალურად არ წარმოადგენს ალტერნატივების ანალიზს. დოკუმენტში წარმოდგენილი 4 ალტერნატივიდან 3 განთავსებულია ერთსა და იმავე ზონაში რამდენიმე მეტრიანი დაშორებით, ხოლო მე-4 ალტერნატივა თბილისში, მჭიდროდ დასახლებული უბნის მახლობლად, რაც თავისთავად გამორიცხავს მე-4 ალტერნატივას. დარჩენილი 3 ალტერნატივის შეფასება აზრს კარგავს ალტერნატივების</p>	<p>გზმ-ს ანგარიშში მოცემულია რეალური ინფორმაცია, რომელიც საქმიანობის განმახორციელებლის მიერ საწარმოს განთავსების ადგილის შერჩევის პროცესში. ასევე რეალურია პირველი 3 ალტერნატივის შეფასება, რადგან არჩეული ალტერნატივის შემთხვევაში საჭირო არ არის სამშენებლო სამუშაოები, რაც არსებული კაპიტალური</p>

	შეფასების გარემოსდაცვით ნაწილს, რადგან დარჩენილი 3 ადგილიდან რომელ კონკრეტულზე გაკეთდებოდა არჩევანი, გარემოსდაცვითი თვალსაზრისით მნიშვნელოვანი არ არის, რადგან მათ მიერ გამოზე ზემოქმედება გავრცელებოდა ერთსა და იმავე პერიმეტრზე.	შენობის არსებობით არის განპირობებული.
7.	გზმ-ს დოკუმენტი უნდა მოიცავდეს წარმოებისთვის და მასთან დაკავშირებული ტექნოლოგიების დასაბუთებას, რაც წარმდგენილია დუმელის შემთხვევაში, თუმცა ბუნდოვანია, რა კრიტერიუმით მიხედვით შეირჩა საწარმოსთვის რუსული წარმოების ფილტრი და რა უპირატესობით ხასიათდება ის სხვა ალტერნატივებთან შედარებით.	ტექნოლოგიურ ალტერნატივებში განხილულია რატომ იქნა შერჩეული ინდუქციური დნობის მეთოდი. რაც შეეხება გამწმენდი სისტემის ალტერნატივას, მტვედამჭერი მოწყობილობებიდან მშრალი სახელოიანი ფილტრის ეფექტურობა ყველაზე მაღალია, შესაბამისად სახელოიანი ფილტრის არჩევა ამ შემთხვევაში უალტერნატივოა გარემოდაცვითი თვალსაზრისით. რაც შეეხება მწარმოებელს, ფილტრი გერმანული წარმოებისაა. მისი მახასიათებლები გზმ-ს ანგარიშში ჩადებულია თარგმანის სახით, რადგან საპასპორტო მონაცემები გერმანულ ენაზეა შედგენილი (წარმოგიდგენთ დანართის სახით).
8.	გზმ-ს დოკუმენტით ირკვევა, რომ საქმიანობის განმახორციელებს ტერიტორიაზე დასრულებული აქვს საწარმოს მოწყობა, რაც ერთი მხრივ აზრს უკარგავს	გამწმენდი სისტემა აღჭურვილია რუსული წარმოების კვამლგამწოვით, რომელიც ადაპტირებულია ქვეყანაში არსებულ ელექტროკვებაზე. ამასთან შეგახსენებთ რომ რუსული წარმოების მოწყობილობის გამოყენებაზე ქვეყანაში შეზღუდვები დაწესებული არ არის.. რადგან საწარმო უკვე მოწყობილია, გზმ-ს ანგარიში მომზადებულია ექსპლუატაციის ეტაპისათვის.



	<p>გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიში, ხოლო მეორე მხრივ წარმოადგენს გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის უხეშ დარღვევას. გზმ პროცედურის დროს უნდა შეფასდეს არა მხოლოდ ექსპლუატაციის დროს მოსალოდნელი ზემოქმედება, არამედ საწარმოს მოწყობის დროს არსებული ზემოქმედებაც. მოცემულ შემთხვევაში კი ზემოქმედება სრულად არაა წარმოდგენილი. გარდა ამისა, მსგავსი პრაქტიკა ზრდის გადაწყვეტილების მიღებისას მიკერძოებისა და დადებითი გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გაცემის ალბათობას.</p>	<p>როგორც გზმ-ს თავი 1-შია მოცემული გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღების ადმინისტრაციული საქმის წარმოების პროცესში სამინისტროს მიერ რამდენჯერმე იქნა შეწყვეტილი საქმის წარმოება. კომპანიამ სკოპინგის დასკვნის მიღების შემდეგ გააფორმა კონტრაქტი უცხოურ კომპანიასთან ძირითადი ტექნოლოგიური დანადგარების შესყიდვა-დამონტაჟებაზე. დანადგარები მოწოდებული და დადგმული იქნა გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღებამდე, რაც გახდა საქმის წარმოების შეწყვეტის საფუძველი.</p> <p>კომპანიამ ორჯერ განახლა საქმის წარმოება გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღების მიზნით, თუმცა, სამონტაჟო ჯგუფის ჩამოსვლამდე ვერ მოხერხდა გადაწყვეტილების მიღება.</p> <p>როგორც მოგეხსენებათ, გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების ძირითადი ეხება როგორც მოწყობის ისე ექსპლუატაციის ეტაპებს. მოცემულ შემთხვევაში მოწყობის ეტაპის განხილვა ლოგიკურ აზრს კარგავს. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სამინისტროს მითითებით, გზმ-ს ანგარიში შედგენილი იქნა ფაქტიურად არსებული მდგომარეობის შესაბამისად.</p>
9.	<p>სკოპინგის დასკვნაში კომპანიას მოთხოვნილი აქვს წარმოადგინოს საწარმოს მოწყობისა და ექსპლუატაციის პროცესისთვის შემუშავებული შემარბილებელი ღონისძიებები, თუმცა, გზმ დოკუმენტში წარმოდგენილი</p>	<p>რადგან საწარმო უკვე მოწყობილია, გზმ-ს ანგარიში შედგენილია ფაქტიურად არსებული მდგომარეობის შესაბამისად. რაც შეეხება კანონდარღვევის არსებობას,</p>

	<p>ინფორმაცია მხოლოდ ექსპლუატაციის ეტაპს აფასებს, რადგან საწარმოს მოწყობა დასრულდა გზშ პროცედურამდე, რაც წარმოადგენს კანონდარღვევას.</p>	<p>მოქმედი კანონმდებლობის თანახმად, აღნიშნულზე გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის მიერ შედგენილი იქნა ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმი, რომელზედაც იმსჯელა რუსთავის მაგისტრატმა სასამართლომ.</p>
10.	<p>დოკუმენტში, ატმოსფერულ ჰაერზე ზემოქმედების შერბილების ღონისძიებებში ვკითხულობთ “არახელსაყრელი მეტეოროლოგიების დროს ატმოსფერული ჰაერის დაბინძურებისაგან დაცვის მიზნით, შედგენილი იქნება სათანადო მოქმედებათა გეგმა.” - აღნიშნული ჩანაწერი საჭიროებს მეტ კონკრეტიკას, კერძოდ: რა იგულისხმება არახელსაყრელ მეტეოროლოგებში, ვინ განსაზღვრავს ან რა პარამეტრებზე დაყრდნობით მოხდება არახელსაყრელი მეტეოპირობების განსაზღვრა, რას გულისხმობს, რა კონკრეტულ შემთხვევებზე ღონისძიებებს მოიცავს სათანადო მოქმედებათა გეგმა და ვინ იქნება აღნიშნული გეგმის განხორციელებაზე პასუხისმგებელი პირი?</p>	<p>„არახელსაყრელი მეტეოროლოგიური პირობები“ (ამჟ) - არის მეტეოროლოგიური პირობები (ნისლი, უქარო ამინდი ან ქარის მცირე სიჩქარე, ტემპერატურული ინვერსია და ა.შ.), რომლებიც ზდუდავენ ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა გავრცელებას და, ამდენად, ხელს უწყობენ მავნე ნივთიერებათა დაგროვებას და შესაბამისად დაბინძურების გაზრდას მოცემულ ტერიტორიაზე.</p> <p>საქართველოს მთავრობის 2014 წლის 3 იანვრის №8 დადგენილებით დამტკიცებული „არახელსაყრელ მეტეოროლოგიურ პირობებში ატმოსფერული ჰაერის დაცვის ტექნიკური რეგლამენტის“-ის შესაბამისად კომპანიები ვალდებული არიან შეიმუშაონ „არახელსაყრელ მეტეოროლოგიურ პირობებში ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა გაფრქვევის შემცირების ღონისძიებათა გეგმა“, რომლის მიზანია საქმიანობის პროცესში ჰაერის დაბინძურებისაგან დაცვის უზრუნველყოფა.</p>



		<p>კონკრეტული დონისძიებს და  პასუხისმგებელ პირებს განსაზღვრავს  ფინანსური რესურსები.</p>
--	--	--